

№ 25 (261)
6 ივლისი, 1930 წ.
ფასი 10 კ.



ღირსეული პასუხი

— რას მიედ-მოედები?! თქვენი
წარკედელობა ჩვენს კოლექტივებს
ვერაფერს დააკლებს. გირჩევნიათ—
ღონს მოხვიდეთ!

ეკვა კინკლაუ: ის ახრით რაღა უხდა დარჩენოდა მის, თუ არა რომელიმე თაბოზიცისათვის მიმხრობა. და ეს იმიტომ, რომ ის ორი წლის წინად პარტიულ კონფერენციის მიერ არ იქნა არჩეული პარტიკომის წევრად.

— როგორ, — გაბრაზებული ამბობდა კინკლაური, — ჩემზე უკეთესი კომუნისტი ვინ არის? მე არ უხდა ვიყო პარტიკომის წევრი? მაშ ვნახოთ.

და ის პარტიას თაბოზიციაში ჩაუღდა.

ჯერ იყო და „ტროცკისტობა“ დაიწყო. მართალია, ტროცკიზმის ბევრი არაფერი გაეგებოდა, მარა თავს მაინც დიდ მცოდნეთ ასაღებდა...

— იცით, ვინ არის ტროცკი? — ეუბნებოდა ის თავის ამყოლ-ჩამყოლთ და ტროცკის მარქსზე მალა აყენებდა. ტროცკისტების დამარცხების შემდეგ კინკლაურისთვის ხელსაყრელი აღარ იყო „მემარცხენე“ თაბოზიციაში დარჩენა და ოფიციალური განცხადებით გაემიჯნა მის.

კინკლაური პარტიაში პირობით დატოვდა.

— პარტიაში კი დამტოვეს მარა, ვაი ამისთანა დატოვებას. ჯერ კიდევ ცალი თვლით მიყურებენ... საკმაოდ არ მენდობიან. — ამბობდა ის

— არა უშავს. ტროცკისტები კი დამარცხდენ, მაგრამ — მემარჯვენეები ხომ გაიმარჯვებენ, — ამიქედბდა თავის თავს კინკლაური და ფრთხილათ, ისე რომ არავის შეეშინია, მემარჯვენეებთან გააბა კავშირი.

— მოიცა, აგერ მეთექვსმეტე ყრილობა მოვიდეს და მაშინ ნახავთ ვინა ვართ და რაც ვართ! თავმომწონეთ გაიძახოდენ მემარჯვენეები...

კინკლაურიც დაიმედებული „ციურ მანანასავით“

მოელოდა მეთექვსმეტე ყრილობას, რომელზედაც დარწმუნებული იყო, რომ მემარჯვენეები გამოვიდოდნენ, წუნს დასდებდენ ძველ ხელმძღვანელობას და ყრილობას მათ თაბორტუნისტულ შეხედულებებს შიადებინებდნენ.

ამის შემდეგ კინკლაური დაიმედებული იყო, რომ მისი მდგომარეობა პარტიაში განმტკიცდებოდა: შეყვანილი იქნებოდა პარტიკომის შემადგენლობაში და შეიძლება მდივნათაც აერჩიათ.

მეთექვსმეტე ყრილობასაც მოვესწარი, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები: ამხ. სტალინის, კავანოვიჩის, ორჯონიკიძის და სხვების. ყრილობას მიესალმენ სხვადასხვა ქვეყნიებიდან და კავშირის ყველა კუთხეებიდან; ესალმებოდენ კომუნისტური ორგანიზაციების და სოციალისტური წარმოებების წარმომადგენლები.

მოსხენებების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, იყო მემარჯვენეთა „გამოსვლა“, რომლის შემდეგ „ურწმუნონიც“ კი დარწმუნდენ პარტიის გენერალური ხაზის სისწორეში...

ევებ იკითხოთ: რა ამბობს ესლა კინკლაური? რა უხდა სთქვას, — სათქმელი არაფერი აქვს.

ის პარტიაში აღარ არის. მან ვერ შეასრულა თავისი დაპირება პარტიის წინაშე და გამოირცხულ იქნა მისი რიგებიდან...

ამ მდგომარეობას ის კიდევ აიტანდა, რომ მეთექვსმეტე ყრილობას მისთვის იმედი გამართლებია.

— რაღა ვარ ესლა. არც აქეთ — არც იქით! ამბობს კინკლაური თავისთვის და ეძებს ამ შიძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს.

ისტორიის ფაბრიკა

თქვენ ნახეთ ჩვენი ახალი ლითონ-ჩამომსხმელი ჭარბები, ნახეთ ახალი ელექტროსადგური, ნახეთ გიგანტი - სოცეზები — ჰუროს ფაბრიკები... ესლა ჩვენ მივდივართ უმთავრეს ფაბრიკასთან, ჩვენი აღმშენებლობის გულსა და ტერნთან. ჩვენ მივდივართ იმ ფაბრიკასთან სადაც კეთდება ისტორია!

- ვან ასტორია ფაბრიკაში კეთდება?
- ის, არსებითად, ყველგან კეთდება... ფაბრიკებშიაც, ყამირებშიაც, დწესებულლებშიაც, ქალაქებშიაც და სოფლებშიაც. მაგრამ ესლა ლაპარაკია უმნიშვნელოვანეს ცენტრალურ ფაბრიკაზე, ფაბრიკაზე, რომელსაც აქვს უძლიერესი ენერჯეტიკა, იმ ფაბრიკაზე, რომელიც აწვდის ენერჯიას ყველა დანარჩენ წარმოებებს...
- უპაცრავად, სიტყვას ვაგაწვევინებთ... რა ჰქვია იმ ფაბრიკას?
- მას ეწოდება სსკპ (ბ).
- როგორ მუშაობს ის?
- აი, შეხედეთ თვით... მოიწით უდრო ახლოს!
- საევირველი სისწორით და გამოზომილად მოქმედებს.
- ნეტავ რამდენი კაცი მუშაობს აქ?
- დაახლოებით ერთნახევარი მილიონი.
- აჰა! და, რამდენადაც მე შემიძლია გავსომოთ თვალის გადაღლებით, ყველანი მუშაობენ შენმატრილიზულად ერთი ტაქტით, ერთ ტონზე, როგორც ერთი ორგანიზმი! მაგრამ, არა... ნება მიბოძე... აი იქ, მარცხნით, პატარა ჯგუფი რაღაცას ხმაურობს და ფუსფუსებს. რა უხდა იყოს იქ?
- ეჰ! ეს ხომ ფაბრიკის გარეთია. დეკლასიური, რიგებიდან გასული ხალხის პატარა ჯგუფია... და იმათი ადგილები, რომორც ხედავთ, ესლა შეადგენს სხეებმა, ნამდაილმა მუშებმა.

— აი იქ, მარჯვნივ?... ეს რა არის? რატომ არის, რომ იქ რაღაც ხალხი ხოხავენ, ზოდიალოდენ, მის უებენ ძირს?... რამე ატარა ხომ არ მომხდარა?



— კაცო, რავა ჩამოვიშვია შაი ცხვირი...
— ე, მუშკოპობიდან გამწმინდეს ძმო...

— არავითარი აგარია არ მომხდარა. ისტორია როგორც ხედავთ იქნება და სრული სვლით მიდის წინ. ამ ხალხმა კი შიონდობა შეეჩერებიათ ბოროლები და დეპრუნებიათ უკან. და აი ამიტომ ისინი გადამარჯვდნენ... დაუცდათ ფეხი წაფერდებაზე და ჩაიცივდნენ ტლაპოში!

- სასაცილონი ყოფილან!
- არა, არც მთლად სასაცილონი არიან. ისინი საშიში და ეშმაკი ხალხია. რომ დანარჩენები აი ყოფილიყვენ ეგრე რიგათ მტკიცენი და ფხიზენი, რომ ფაბრიკას არ ჰქონიყო ძლიერი ენერჯია, მაშინ იმათ შეეძლოთ ბევრი ზიანი მოეტანათ...
- მართლა, რა ნაირი ენერჯიით სარგებლობს ეს ფაბრიკა?
- მთელ ქვეყნიერებაზე უძლიერესი და დაუშრეტელი ენერჯიით: მილიონიან მასების კონკრეტრაცია ქნის ნებისყოფით! აი, ესლა დგება უდიდესი ისტორიული შინაგნელობის მომენტა; ეს ნებისყოფა განიცდის კიდევ მეტ გონცენტრაციას და დამატულობას... აი! საფუძველი ეყრება ახალ თარიღს, იქნება ათფლად ისტორიის ახალი ხანა. თქვენ ხედავთ მთელ რიგ განვლილ ეტაპებს. მთელ რიგ კვანძიან ისტორიულ სადეტურებს, რომელნიც შექნისინი არიან მამევი ძლიერი ნებისყოფის დამატულობის მეოხებით. მე-13, მე-14, მე-15? ხედავთ, აი იქ, წინ სოციალიზმის კონტურებს?... ხედავთ, როგორ სწრაფად და სწორად კეთდება ისტორიის გზა სოციალიზმისაკენ?... და აი ესლა...
- ეს რა არის? ახალი ეტაპი? აი სადაც აგებენ ახალ საძირკვლებს... იქ მებუთმეტის წინ?
- დაახ... მეთექვსმეტე ყრილობა! (კარაკალილი“-დან)



ჩემი ალსასრული

(გაბრიელ უხარიაძის „ალსასრული“-ს წინა ნომერი)

ალსასრულის განძრევის უნარი არა მაქვს, თვალზე დასუქული ვარ, მარა ქველადურს ვხედავ, მესმის და ვგრძნობ!

აგერ მოხრივინდა „სახარო დახმარების“ ეტლი, კითხულობენ ჩემ ბიძას, გამოიშალა ხალხი მივობნელ სახლების აივნებზე.

ავადმყოფი ოჯახის წევრები, მიიწვიან სახლში, მარა ეხლა მე მიჩვენებია ისინი თან თუ გამოშვებთან და არა საავადმყოფოში წავლენ მოსარჩენად.

თითონ მე არ მყოფარა ავადმყოფის ნახვა და ამიტომ არ მიკვირდა, რომ ჩემთანაც არავინ მოდიოდა. მაგრამ მე არც მიცვალე-ბულის ნახვის მოყვარული ვიყავი, ეს ხალხი კი რა სიამოვნებას პოულობს ნეტა, რომ მოაწყდა ჩემი ცხედარის სანახავათ? განსაკუთრებით კი ქალები მოდიან უმეტესობა. ცოცხალს ნაკლები გასავალი მქონდა მათ შორის, — ეხლა რა ჯანდობათ მესაქიროება მათი ყურადღება? მარა, ვატყობ, რომ ისინი ერთიმეორესთან შესახვედრათ და საქირდავთ უფრო იყრიან თავს, ვიდრე ჩემ სანახავათ.

უკანასკნელ დროს ყურები მქონდა დაგუბული და კარგათ აღარ მიყურებოდა, — ეხლა იმ მთლად სმენათ ვარ გადაქცეული და შორიდან ჩურჩულიც არ გამომგებარება.

კარგათ მესმის, მაგალითად, აი ის დაბალ-დაბალი, ხმელ - ხმელი ქალი რომ ეჩურჩულებს თავის გვერდში მდგომ მაღალ და სქელ ქალს. — თითქმის მე მას ვეკვიტებოდი და მოსვენებას არ ვაძლევდი, მარა უნაყოფოა, რა თქმა უნდა.

დახეთ ერთი ამ უტიფარს! მქონია შემთხვევა ავკვიტებოდე ვინმეს და დიდი დროც დამეკარგოს უნაყოფოდ, მარა მაგასთან ხომ არც ავკვიტება დამკვირბია და არც დიდი დროს დაკარგავა!

ეგერ აივანზე დგას რამდენიმე კაცი და საგმირო საქმე ჩაუდენია ჩემთან ერთად ცხრაას წელი, და წ-თის შემდეგაც. მაგრამ მე გარკვევით მახსოვს, რომ არცერთ ამ საგმირო საქმეებში, მონაწილეობა არ მიმიაღია და არც ვყოფილვარ იმ ადგილებში იმ ხანათ, რომლებსაც ისინი ასახელებენ.

მეორე ადგილას დგას უფრო ახალგაზრდების ჯგუფი და იგონებენ ჩვიდმეტიდან ოცდა ერთ წლამდე მენშევიკების საწინააღმდეგო მუშაობას ჩემთან ერთად.

მაგონდება მხოლოდ ერთი მათგანი, რომელიც მართლაც მუშაობდა ჩემთან, მარა ერთი ორთა მანდევინებდა ხელფასს.

არ ვიცი, რა სურთ ამითი, — ჩემი ქება, თუ თავიანთი თავის გამოჩენა.

ახლა არ იკითხავთ, რა ამბავი ასტყდა გავთებში?

მეჩოთრება მხოლოდ ერთი რამ: მე თუ არ ვიცოდი ჩემი თავის ფასი, — ამით ხომ სცოდნიათ და რატომ არ მათხანებდნენ ეს დალოცვილები ღირსეულად აქამდე?


მოაღწია გახვეწების დრომ და დაიწყო ხიტყვების წარმოთქმა, მარა რა ხიტყვებისს მკვდარი ვიყავი, თორემ მე თითონ წამოშ-ცვიოდა ცრუმღები თვალმდებანი!

განსაკუთრებით აღტაცებაში მომიყვანა ახალგაზრდობის წარმომადგენლის სიტყვამ, რომელიც მათი სახელით მეფიცებოდა, რომ თავგანწირვით განაგრძობდნენ იმ საქმეს, რომლისაც მე ვემსახურებოდი მთელ ჩემ სიცოცხლეში, და მისი სრული განხორციელებისას ჩამომასხებენ საფლავში ამ სასიხარულო ცნობას,

გამოსვენებისას კუბო მაღლა ეჭირათ ხელში ჩემ ძველ მეგობრებს. მათ შორის იყო ერთი, რომელსაც ხუმრობათ ვეჭადდი, რომ მისი კუბოს მე ავწვედი პირველად, ის კი მე მეჭადღადა ამნაირათვე. ნაძლავის მოგება გულში ძალიან უხაროდა, მარა სახე მაინც დადრემილი ჰქონდა შემთხვევის შესფერად.

ქოში გადამავიწყდა, რომ მიცვალე-ბული ვიყავი და ღიმილი მომადგა სახეზე. ამავე დროს გადავავლე თვალი დამსწრეთა კრებულს და ნასიამოვნები დავრჩი, რადგან კარგა ზღომად მოეყარა ხალხს თავი.

სანამ კუბო ხელებით აწეული მიჰქონდათ, მეც ძალიან თავმოწონეთ მივდიოდი მარა როდესაც კუბო დაბლა დაუშვეს და პლენანოვის გამწირზე გადასვლის შემდეგ ეტლზე დაუდეს, — ჩემმა თავმოწონებამაც დაბლა დაიწია.



ამას ზედ დაერთო კიდევ ის, რომ გამცილებლებმა ცაზე დაიწყეს ცქერა, სადაც გამოჩნდნენ შავი ღრუბლები და ერთი წვეთი წვიმა ცხვირზე დაც დამეცა.

თუმცა დაბლა ვიყავი და გამყოლებზე თვალის გადავლება აღარ მეხერხებოდა, მარა ცხადათ ვამჩნევდი, რომ მათი რიცხვი საგრძნობლად მცირდებოდა.

ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გასვლისას დაუშვა წვიმამ და სეტყვამ, ამ მეჩხერ რიგებანაც ვაფანტა ხალხი და მხოლოდ რამდენიმე ათეული ჩემი ძველი მეგობრები დარჩნენ კუბოსთან, იქვე სახელდახელო თანაზიარზე გადასწევით, რომ რკინის გზის ბოგის ქვეშ შეეუფლრებოთ თავი წვიმასა და სეტყვის გადაღებამდე.

მაგრამ, როდესაც მივადწიეთ ბოგირთან, აღმოჩნდა, რომ ადგილი უკვე დაეკავებია მეორე მიცვალე-ბულს და მის გამყოლთ, რამელთა რიცხვი ბევრათ აღმატებოდა ჩემს გამცილებლებსას.

ეს მიცვალე-ბული აღმოჩნდა ჩემსავით პახუსისმგებელ მუშაკის მეორე ახალგაზრდა ცოლი, რომლის მიმართ არ ვიყავი კარგად მიიღობაში, ვინაიდან მერტ პატივს ვცემდი მის გაყრილ პირველ ცოლს, ვიდრე ამ ფერუშარულით შეფიქტულ დედოფალს.

უნდა გენახათ, რა დამცინავი ღიმილით გამომხედა ყვავილების ძნაში გახვეულმა დედოფალმა და თვლების ბნელით მანიშნაის განსხვავება, რომელიც ცხადათ ემჩნეოდა ჩემსა და მის ამაღლას.

აქ ჩემ ათეულ მსლბელებსაც ჩამოშორდა რამდენიმე კაცი და შუერთდა მის ამაღლას.

ისედაც გაფუტებულ ჩემ გუნებას ესლა აკლდა რაღა!

სასაფლაოზე უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმა შეხვდა იმ ამხანაგს, რომელთაცაც აგრეთვე დაქალებული ვიყავი, რომ მისა საფლავზე მე წარმოვთქვამდი ბრწყინვალე სიტყვას.

ის ლაპარაკობდა უხასიათოდ, მარა ეს არც გასაკვირი იყო: მიუხედავად დაქალებასა, ალბათ, ვერც მე ვილაპარაკებდი უფრო აღტყინებით ასეთ პირობებში, რომ წილად მხვედროდა მის საფლავზე სიტყვის წარმოთქმა.

მას სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ მსლბელებმა პირი იბრუნეს წასასვლელად, რადგან წვიმა არ აპირებდა გადადებას.

მესაფლავებმა აჩქარებით დაიწყეს სამარხში მიწის ჩამოყრა. უკვე შებინდდა, მიიხედ-მოიხედეს, და რომ ველარავინ დაინახეს გამცილებელთაგანი, მიანებეს თავი მუშაობას და გაეშურენ კარავში შესაყურებლად.


უცრად სიჩუმის ჩამოვარდნამ დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიწვია ჩემში.

სიჩქარის გამო კუბოს თავი მაგრათ არ დაეჭადათ. ნელნელა აგსწვი, ავდექი, ამოვფოფხდი სამარიდან და გავივერთხე სამოსელი.



იღლიაში გრადუსნიკი მქონდა ჩადებულ, ჩანთდევმოდა, და როდესაც ის ამოიღო ჩემმა ცოლმა, გამომეღვიძა.

სიტყვ ოცდა ცხრამეტი და ხუთი მეათედი მქონდა...



თურმე მე ვყოფილვარ, რაც ვყოფილვარ, მარა თავისთავის დფასება არ მცოდნია!



პოლისმენი:—საკვირველია! ამათი უფრო მეშინია, ვიდრე ჩემი ბატონების!

სიმპატიური ადამიანი (თავისუფალი თარგმანი)

მე რომ სიმპატიური ქალი ვარ, ამას აღიარებს ყველა: ნაცნობი თუ უცნობი.

მოხუცი ქალები რჩევას მკითხავენ მე ექიმებისა და რეცეპტების შესახებ, ახალგაზრდები მიმხედენ მე თავიანთ საიდუმლოებას და სტირიან ჩემს მკერდზე. მე ვერ დავიკვირებნი განსაკუთრებულ ჭკუსა და გამოცდილებას, ხასიათი მაქვს ანჩხლი, სშირად ვნერვნიულობ, ყოველგვარ ცნობას მოსმენის უმაღვე ვავამხელ ხოლმე და მკერდიც ხმელი და ძვლიანი მაქვს.

მე არ ვიცი, თუ რაში იმალება ჩემი სიმპატიურობა, მხოლოდ როცა კი თეატრში მივდივარ და ანტრაქტების დროს ფოიეში დავიწყებ ვავლა—გამოვლას, თითქმის წამდაუწუმ მაჩერებენ და მეკითხებიან:

—„მითხარით, გეთაყვათ, სად არის ბელეტაჟი?“
—„საით არის მამაკაცების საპირფარეო?“ —„რა წამოდგენა იქნება, თქვენ გეცოდინებათ— ხვალ?“ —„რა ფასებია ბუფეტში? და სხვა და სხვა.

სიმპატიურ ადამიანად ყოფნა, ვგრძნობ, რომ დიდათ სამძიმოა. ვერ მივხვედრილვარ კი, თუ საიდან წარმოსდგება ჩემი სიმპატიურობა და ვწყველი ჩემს ბედს, რადგან ამის გამო მიხდება გვიან დაწოლა, ძილის მოკლება, სამსახურში დაგვიანება, თავისი საკუთარი საწოლისა თუ სხვა რამ აუცილებელის სხვებისთვის დათმობა დასხვა.

ჩემი სიმპატიურობა ისევ ჩემი სახის სილამაზის ბრალი არის.

მე გამოვედი ხოროდან, მართალია, შევედი სახლში, მაგრამ დიღხანს აქ აღარ შემიცვლია და გავსწიე პირდაპირ

ქსოვილთა სინდიკატში საჭირო მატერიის საყიდლად.

მე მოვპირევი საჭირო საქონელი და აი, უკვე დავიძარი სალაროსაკენ ფულის გადასახადით, რომ დახლთან მოვიდა კაცი ტყავის ტყაპუჭით და არა ნოქარს, არამედ მომმართავს პირდაპირ მე კითხვით: „რამდენი მეტრი მატერია მოუნდება ცოლს ტანისამოსისათვის?“

მეც ვეუბნები და მივდივარ სწრაფად სალაროსაკენ, ვდგები რიგში და უცდი თავის ხვედრს, რომ მომემის იმავე ტყაპუჭიანის ხრინწიანობამდის გაკირვებული ხმა: „ღვთის გულისათვის, მოქალაქე მანდილოსანო, დაბრუნდით ერთის წამით და მირჩიეთ ეს საკაბე თუ გამოდგება ჩემი 70 წლის მოხუცებული დედისათვის?“

ვბრუნდები...
ჯერ მოვდანსაც კი არ მივახლოებივარ, რომ მომესმა განიდან:

„მამატიეთ, ბოდიშს გიხდით, თქვენ ხომ იმ მხარეს არ გინდათ გადასვლა?“

და ამ სიტყვებთან ერთად, ვისილაც ძვალ—ტყავად ქცეული ხელი ფათურით ეხება ჩემს მხრებს, მექლება საყულოზე და განაგრძობს:

„გთხოვთ, გადამიყვანოთ მეც ქუჩის მეორე მხარეს“...

ვუმჯერ და ვშემდები: ჩემს კისერს ეპოტინება უცნობი ბრმა მამაკაცი.

ახლა უკვე აღარაფერი აღარ მესმის, თუ რაა ჩემი სიმპატიურობის მიზეზი.

მაშასადამე—აღარც პირისახე!..



ზამთარი მთვა ზოგიერთ ადმინისტრატორებს

საქართველოს
საქართველოს

(პრილოჟისებური)

ზაფხული ისე გავიდა—
ხტოდა ჭრიჭინა პატარა.
უზრომოდ—უზრუნველყოფით
მთელი ზაფხული ატარა.

გავიდა ცხელი ზაფხული
და შემოდგომა გრილია.
ზამთარი კარზე მოადგა,—
ჭრიჭინა მოწყენილია.

დათოვა ტყე და მინდორი,
თოვლშია მთა და ბარია.

ყინვები დადგა სასტიკი,
უბერავს ცივი ქარია.

ველარ ხტის ჩვენი ჭრიჭინა,

ყინვამ მოკაკვა წელშია...
ველარ ხტის უწინდებურად
ჭრიჭინა მინდორ—ველშია.

წინედ, ზაფხულში მხიარულს,—

მას ეხლა არ უხარია.

ან რა დროს სიხარულია?

ცივი აქვს მას ბუხარია.

სხვა რაღა ექნა?! მიმართა

მან ნაცნობ ჭიანჭველასა:

„ვკვდები სიცივით ძმობილო,
შენგან მოველი შევლესა...“

მიშველეთ მტერმა, მოყვარემ,

მიშველეთ ერთად ყველამა“

„რას აკეთებდი ზაფხულზე?“

ჰკითხა მას ჭიანჭველამა.

„რას ვაკეთებდი? ვლიხობდი;

დრო გავატარე ტკბილათო.“

—ეხლაც ისტუნე! რად გინდა

ზამთარში იყო თბილათო!


დასრულდა ეს იგავი

პატარა, მაგრამ ღიღია.

ჭკვიანნი შეშის საყიდლად

ტყის ტრესტში ეხლა მიდიან.

ისელი



ცოლი:—ჩვენსავით გაუყინდეს გვერდები თქვენს ადმინისტრაციას, თუ შეშა თავის დროზე შეეძინა და ამ ზამთარში უშეშოდ არ დავებთოვებინეთ შარშანდებურად!



ავთანდილი: — ჩემო ბაღდასარ, ამ სამ წელში, რაც რომ შენ არ მინახებარ, ძალიან აამოცვლილხარ. უსათუოდ უნდა სააგარაკო სადმე წახვიდე.

ბაღდასარა: — კნიაზჯან, არც შენ დავდგომი კარგი დღე, როცა რომ თარიღს ურევ. განა ისეთ დროს მოგვეწარიო, რომ ჩვენ დაჩათ წავიდეთ? დაჩაზე ისლა მიდიან დვორნიკები, მეკურტნე მუშები, მექისეები და სხვა ანაირი ახალ მოდის კეთილმოებილები.

ავთანდილი: — ბრალი ჩემი, რომ ქეციანი ძალიდით უსახლკარო დამანარჩუნეს, თორემ შენი სახლი ხომ ნამდვილი სამოთხეა.

ბაღდასარა: — რომელი სახლი! რა სახლი! რა შენი სადინაჯვალის მორაქებს ქექამ? ჩემი სახლის ადრესი და ნუმერიც კი დამავიწყდა.

ავთანდილი: — როგორც ვატყობ შენთვის სახლი ჩამოურთმევიათ?

ბაღდასარა: — ჩამოურთმევიათ? არა მამა უტყონდებათ ბლუდზე დავდე და ისე მივართვი. ისე ელტრინათ გამომისტუმრეს, რომ კედლებსაც ველად მოვასწარი შეცქერა.

ავთანდილი: — მაშ ეხლა სადა გაქვს ბინა?

ბაღდასარა: — ტო ესტ სადა ვცხოვრობ? ჯერჯერობით „ორიანტის“ გასტინიკაში მომცეს სამი ოთახი თავის ვანით და შეუშაბანდინ კარიდორით. მითხრეს, კოლა ბახტაძე რომ დამთავრებს დიდ შენობის აგებას დეარეცის ბაღში. იქ ერთ ხუთ-ეგეს ოთახს მოგვცემო. მაშ ჩემისთანა პატროსან კაცს, ბივში პერვი გილდი კუპეცს, სავეცკი ვლასტი უუურადღებოთ დასტოვებს? ეაი, თავი მოგიკვდეს, ბაღდასარ! ეგ რა პეჭიათებს ბოლამ. ჩემთვის ვისა სცხელა ისეთ ნახვრეტებთან ოთახში გადამაგდეს, რომ იქ მატანტალა ძალსაც კი ხუროლო შეიყრება. კრუგომ სკვანონი მიბერავს.

ავთანდილი: — შენ ეშმაკი კაცი ხარ, ალბად კავშირის წევრი გზადგომი და კარგი თანამდებობაც გეკავება!

ბაღდასარა: — აბა, კნიაზჯან, როგორ გეკადრება მაგნაირი სიტყვები. არ იცი, რომ ადვილი კარგი მეჭება? კარგი ჯამა-

გირი და ადვილი საქმე. ვზივარ და დეკრეტებს ხელს ვაწერ.


ავთანდილი: — ჩემო ბაღდასარ, შენ მასხრობ და მე კი სერიოზულათ გელაპარაკები.

ბაღდასარა: — კნიაზ ავთანდილი, მე კი არა ემასხრობ, შენ გამხდარხარ პატარა ბავში. ამ უღარნიკების, ვიდეიენცების, რაბკორების კომკომოლების და ჩისტკის ხანაში. მე ვინ მომაშავებს სოიუზნი კნიშკას და სამსახურს? ამ ბალშევიკებმა განა ისე მოაწყეს თავიანთი საქმე? ტო, ყურუმსად, არხანგელცკი გუბერნიასშიც რომ წახვრადე, იქაც გაიგებენ შენს ბიოგრაფიას.

ავთანდილი: — ბაღდასარ, მა რითა სცხოვრობ? შეილი შენ არ დეგენერება და შენი ძმა-ბიჭები კი შენზე უარეს დღეში არიან.

ბაღდასარა: — სურბ-სარქისის მადლობა აურთოს ბალშევიკების საქმე, როგორც მე ამწეეუა ოჯახი. შეილი გამოვზარდე ასე, რომ ცივი ნიავი არ მომიხვედრებია. ეს დეტსკი სადიო, ეს პანსიონიო, ეს გენმაზიო.

ამაოცდა



პირიდან ლუქმას ვიღებდი და იმას ვაგულაბებდი. ვფიქრობდი, კაცი ვაშოვს და სამხრეში გამახარებს მეთქი. ეი, მახარებს კედეც; ახლო არ მიკარებს. შენ ჩუქდი ელემენტე ხარო. სად არის სამართალი? მე იმისთვის ჩუქდი ვარ და ქალაქში ჩამოთრეულა რაზენი ხალხი კი იმისთვის რადნობენი არიან?

მეც იმის გასაჯავრებლად ჯიბით არაყს ცუცი, კანტრაბანლო ცხვარა ვკლავ და ხორცსა ვყიდი მაღლით. დაე, ციხეში ჩამავადონ, რომ მაგ უსენდისო ლაწირაქსაც სახელი გაუტყდეს.

ავთანდილი: — მაშ ჩემსავით არაფრას იმედი ალბა გაქვს?

ბაღდასარა: — უიმედოთ შენი მტერიც არ დარჩეს. პირველ ხანებში ჯერ მენშევიკებს ველოდი, რალცა ლმერთი გაუწყრათ და არ ჩამოვიდნენ. მეზრე ომის ლაპარაკებმა გამიტაცა. ესეც ვაბოთურდა. ომის შედეგად ტროცკის იმედი მქონდა, — მეგონა მათი ჩხუბი ჩვენ წისქვილს დატრიალებს მეთქი. აქაც ისეთი შტუტუკა მოახნიდეს, რომ ტროცკის სახელი ორი გროში გახადეს. დღეს საბჭოთა კავშირში კომკომოლს ტროცკიზე მეტი ფასი აქვს...

ავთანდილი: — მაშ ბალშევიკებმა სულ გაგიკრუნეს იმედები რადა?

ბაღდასარა: — კიდევ ერთი ფრონტის იმედი მაქვს. ეს ფრონტი თუ სრულიათ არ გამოასწორებს ჩვენ საქმეს, პატარა დანებრებას მაინც მოგვეცემს. ბუხარის და რიკოგს მოუთხოვნით ასტაროუნი პოლიტიკა, რომ არც ევაკირი ქალაქში. ამ ახალ პოლიტიკას დაარქვენ პრავი უკლონი. ძალიან სასიხარულო საქმეა. თუ რომ ბალშევიკები უკლონზე დადგნენ, მაშინ ადვილი იქნება იმათი ჩამოცურება ახალ გზაზე. ჩვენც ადვილით ამოვისუნთქავთ.

ავთანდილი: — ბაღდასარჯან, როგორც მესმის შენ ვაზნეთებს არა კითხულობ. გუშინ „მუშა“-ში წავიკითხე მეთქვემტე პარტიულ ყრილობაზე ისეთი რეზოლიუცია მიუღიათ, რომ შემარჯვენეს ზურგზე ბოლი ასვლიათ. ბაღდასარჯან, ჩვენი წარვა უკვე გამოსულია. ამას უნდა ანგარიში გაუწიოთ.

ბაღდასარა: — ჩემი კომკომოლი შეილი ტყვილით კი ერ მეუბნება, რომ ჩემისთანა ბავში ხალხი დევიანდელ თარიღში გამოდგება მხოლოდ როგორც უტილისირო. უტილისიროები გვეხდარგართ, ჩემო ავთანდილი. ჩვენ ველარც პრავი უკლონი გვიშველის და ველარც ლევი.

31680.

მეხარჯვენი: — მოიხედე! იქითკენ რა გინდა?
გლეხნი: — ხელი უშვი ჩოხის კალთებს, თორემ მე ვიცი შენი...

კოოპერატივის გავბე (ცოტა რამ სხვასაც არბე)

ივლიანის ბაზანაქება დღეა. თუმცა დღეა, მაგრამ ეტყობა დიდი სიციხე უნდა დაიჭიროს, რადგან კოოპერატივის გამგე აღმასხან ყლაპაძე სიცხისაგან მეტის-მეტად გულშეწუხებულია, საცვლებს ამარა ის სასადალო ოთახში მოსჯდომია საყინულეს და ზედი-ზედ ყლაპავს ცივ ლამონათს. აღმასხანი სიცივეს უფრო იტანს, ვიდრე სიციხეს. ამას მიზეზი ის განსლავთ, რომ მეტად ჩასუქებული და ჩარუგვალეული მოყვანლობის არის.

აქვე საყინულეზე უდგას ტელეფონი. ხაქმის კაცია და ვინ იცის რა ღროს გამოუქახებენ. ის ერთგული კაცია.

— ვინა ხარ? მალაზის გამგე? კირილე შენა ხარ? ჰო, კირილე კარაქი არის: არის? ერბო? ერბოც არის? ყველი? ყველიც. ჩემი კირილე ჯერ არავის მისცე ეხლავე მივაჭიხნაჲ კესარიას და თუ ცოტა გვაქვს, ჩვენ უნდა გამოგვიგზავნო.

— კესარია! კესარია! — გასძახა გამგემ მოსამსახურე ქალს.

— რა გნებავს, ბატონო! — მოისმა შორიდან კესარეას ხმა.

— კესარია, შენ გაზღას, ნახე რამდენი გვაქვს კარაქი, ერბო, შაქარი და სხვა.

— კარაქი ერთი ფუთი იქნება, — ცოტა ხნის შემდეგ გამოსძახა კესარიამ, ერბოც ამდენივე, შაქარი ბევრი გვაქვს. ყველი კა ცოტა, ასე ნახევარი ფუთი იქნება.

აღმასხან ისევ ტელეფონს გადაწვდა.

— კირილე შენა ხარ? გეთაყვა კირილე ერთი ნამცეცი აღარც კარაქი მაქვს, არც ერბო, არც შაქარი და არც ყველი. გეთაყვა ეხლავე გამომიგზავნე ერთი ფუთი კარაქი, ერთი ფუთი ერბო, ერთა ფუთი ყველი და ამდენივე შაქარი. თუ სხვა რამეა ხელწამოსაკრავი ისიც ნუ დავაფიყვდება. ხომ იცი კაცნა ვართ, მომარაგება არ გვაწყენს. აგრე! ორი საათის შემდეგ კაბინეთში ვიქნები და თუ საჭირო ვაქნე იქ შემოდი.

თორმეტ საათამდე იბრიალა გულმუცელი ცივი წყლით აღმასხანმა და შემდეგ ავტოთი მიგორდა თავას კაბინეთში. კაბინეთში ძალიან ცხელია, ამიტომ პერანგის ამარა მიუჯდა მაგიდას.

— წკრრრ! წკრრრ! — გაისმა ტელეფონის ხმა.

— ალლო! ჰოო! კოწია ხარ?... კარგი! გამოგზავნე ვინმე და გადავადებინებ შენთვის ნახევარ ფუთს. ერბოც გინდა? კარგი! შაქარი? კარგი. ეხლავე ეუბრძანებ და გადასდე-

ბენ. ბატულია როგორ არის? საით მაღიხართ ამ ზაფხულში? კისლოვოდსკაში? კარგია? კარგი ნახვამდის.

— ალლო! ვინა ხარ? ოჰ, მარგარიტა შენა ხარ? გამარჯობა. რაო? შენთვის ყველაფერს გავაჩენ. კარაქი? ერბო? ყველი? შაქარი? რაც გინდა ყველაფერს ვიშოვი. გადავადებინებ ნახევარ ფუთს ყველაფერს. გამოგზავნე კაცი და წაიღე. ჰო, კარგი! კარგი! ეხლავე გავსცემ განკარგულებას. როგორ გეკადრება, როგორ დამავიწყდება. ხვალ უსათუოდ გვენახე. ნახვამდის.

კაბინეთში მალაზის გამგე შემოვიდა.

— ამხანაგო, აღმასხან, წვევრები თავანთ წილს ერბოს, კარაქს და შაქარს თხოულობენ. დაუჭრივო?

— ხომ არ გავიყდი კაცო? რას ამბობ? ან ისინი ხომ არ დაგიყდენ? რა ღროს კარაქი და ერბოა. უთხარი მოითმინონ და ამ თვის გასვლამდე მიიღებენ. უთხარი ჯერ არ მივიღია და ჩქარა მივიღებთ თქო. მორჩა და გათავდა. კირილე გეთაყვა ერთ საათში მოვლენ ჩემი ნათესავეები, აი ესენი, — აღმასხანმა ქალაღდი გადასცა, — დაუმზადე ნახევარ ნახევარი ფუთი კარაქა, ერბო, ყველი, შაქარი და მიეცი. შენც წაიღე რამდენიც გინდა.

კირილე კმაყოფილა გამოვიდა კაბინეთიდან და კაბინეთში დარჩა კმაყოფილი გამგე აღმასხან ყლაპაძე, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გაუღდა გზას... ..გამსახლისაჲკენ. კიკოლა.



— ვაჰხ! რა ფუნდაფუნ მომღვეს ეს ოხერი?! შარშან ცენტრიდან ამიღვა ფხი; ე... გარე-უბანშიც მომღვა! მაშ სად ჯანდაბაში წავიდე?!



წამოშტკვიდა თავი და კისერი, წამოშტკვიდა მუცელი, დაშეკარგა ჭამის მადი (თუ-მცა როცა მადი მქონდა — საჭმელი არ გა-მანდა საძლამად), მომცა სიცხე და ერთ მშვენიერ მაისის დღით ლოცნიდან ადგო-მა არ მომეხსიათა.

მთელ იმ ხნის განმავლობაში, რაც პრო-ლეტარიატის დიქტატურის ერთი პასუხის-მგებელი მუშაკათაგანი გავხდი, ჩემ ცოლს არ ახსოვდა შემთხვევა, რომ საღამოს აღ-არ დავწოლილიყო და დღით გვიან ავმ-დგარიყა. ამიტომ ამ გარემოებამ ძირიელ შედეგებიანა ის და ციბრუტით დატრიალ-და ექიმების მოსაწვევათ.

ვინიდან ივანე გომართილის წინანდელი დრო არ არის ეხლა, — როდესაც ყველა-ნიარ სატკივრებს ციბე-ცხელების დაგ-ნოვს დაუსვამდა ერთი ექიმი, — ამიტომ საჭირო იყო მოწვევა რამდენიმე სპეციალი-სტების: თავის, ყულის, მუცლის, სიცხის, მა-დის და, სხვათა შორის, დოსტაქრისაც, ყო-ველ შემთხვევისათვის.

რადგან მე ისეთ წირეს ვეკუთვნოდი, რა-მელიც თავაზიანათ ეპყრობა სპეცებს, ამი-ტომ აუცილებელი იყო ექიმების მოსაყვა-ნათ ავტომობილი.

დავარტყე ერთ გარაჟში, რომელშიდაც თავმოყრილი მივუღებოდა მულამ ათეუ-ლი ავტომობილები, და ვთხოვე რამდენიმე წუთით ერთი მათგანი, მარა გარაჟის გამგემ ცივი უარი გამიცხადა:

— თითქმის მანქანას ცალკე პატრონი ყავს და ამ პატრონის ნებადაურთველათ არავითარ შემთხვევაში არ შემოიძლია ავ-ტომობილის გარაჟიდან გამოშვება.

ასეთი პასუხი ძლიერ შეტომა, რადგან გარაჟში მდგომ მანქანების პატრონები არ მიმანდა კერძო მესაკუთრეობის დამცვე-ლებათ. ისინი წინააღმდეგი იყვნენ მხოლოდ ქათამ-პატ-ინდაურების კოლექტივში გაე-რთიანების და არა მრავალ-ძალიან ტენი-სურ მანქანების.

მათ შორის აღმოჩნდა ერთი, რომელსაც არ გაჯდომოდა ძველ-რბილში კერძო მე-საკუთრეობის გრძნობა და დამითო ავტო-მობილი.

მოიყარეს თავი საუკეთესო ექიმებმა, გამ-შინჯეს და შექნეს თათბირი (რომელსაც მათ ენაზე კონსილიუმი ჰქვია). თათბირეს, თათბირეს და, რადგან ვერ შეთანხმდნენ დაგნოვის დასმაში, ყველა მათგანმა გამო-მიწერა თავისი სპეციალობის მიხედვით შე-საფერი წამალი.

მეგონა დოსტაქარი ჩავარდებოდა უხერ-ხულ მდგომარეობაში, რადგან გასაჭირელი მშუწუკი არაფერი მქონდა გამოსხმული. მა-რა, დახეთ მიის ოსტატობას გადამკრით მი-ითხოვა თმისა და წვერ-ულვაშის გაპარსვა.

სანამ აფთიაქიდან წამლებს მომიტანდნენ, რომელთა შემადგენლობა რეცეპტებს არ ეგუებოდნენ და რეცეპტები — გამომწერ-სპეცებს, სანამ მათ ხელმოკრით შემოწმე-ბდნენ აფთიაქში, მანამდე კარგი დიდი ხანი გავიდა, — თავის და ყულის ტკივილმა მი-მარა, სიცხე უმაღლეს წერტილამდის ავი-და და სატკივრების შემადგენლობა იჯახის წევრებზე გადავიდა.

სახლში ახალი საავადმყოფოს გახსნას ვა-მჯობინე არსებულით სარგებლობა და გა-დავსწავიტეთ საავადმყოფოში წასვლა. ამისთვის საჭირო იყო საჩქარო დახმარების ეტლის გამოძახება. მაგრამ გამოირკვა, რომ მას შეეღობოთ ეწოდებოდა ეს სახელი.

საჩქარო დახმარების ერთ წერტს სამი დღე-ღამეა, რაც ტელეფონი გაუფუჭებია და ამ საქმეში თავისთვის ვერ უშვებია, — აბა სხვას რას დაეხმარება ის და ისიც სა-ჩქაროთ!

მეორე წერტის ტელეფონი თუმცა მოქ-მელებდა, მარა თანამშრომელთა შემადგენ-ლობის შესაფერი ორგანოები არიან, ალბათ,

მოკლებული მოქმედების უნარს და აქედან-აც არაფერი ხეირი გამოვიდა თავის დროზე.

საჭირო შეიქნა ტელეფონით ჯანმრთე-ლობის განყოფილებისთვის მიმართვა, რა-მლის ტელეფონი გაუფუჭებული არ იყო, მა-გრამ მის განთავისუფლებას მიღაცას მიერ დაიბრუნებინა სამველი აღარ დაადა.

მერამდენეჯერ დარეკას შემდეგ სადგურ-მა შეეღობოთ მეც შემეერთა ამ დაკავებულ ტელეფონთან. არ არის კარგი სხვისი ლა-პარაკისთვის იღუმალოთ დაყურება, მარა რადგან მაინტერესებდა, რის გამო იყო გა-მოწვეული ჯანმრთელობის განყოფილების ტელეფონის ასე ხანგრძლივით დაკავება, აღარ მოვირიდე მიღებულ წესის დარღვე-ვას. გამოირკვა, რომ ჯანმრთელობის გან-ყოფილების ერთი ჯანმრთელი თანამშრო-მელი ებაახებოდა მეორე რომელიღაც და-წესებულების თანამშრომელს იმის შესახებ, თუ როგორ გემოიანათ გაატარეს დროემა წინაღობით ერთად და რა კარგი იქნებოდა, თუ კი ერთხელ კიდევ გაიმეორებდნენ მას გამგის ნადირობიდან დაბრუნებამდე.

როგორც იყო გაათავის მეგობრებმა სა-ხიამოვნო მოგონებებზე ლაპარაკი და ჯერი ჩემზე მოაღწია, შევეცადე ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომელს აღმოეჩინა დახმარება ჩემთვის საჩქარო დახმარების ეტლის მოწოდების საქმეში. დამირდა, მა-რა ალბათ წარსულის ტკბილი მოგონებე-ბით ჰქონდა მოცული აზროვნება და ამი-ტომ დაავიწყდა დავალება.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოვახერხე შეე-რთება საქმის მართველთან. ისიც დამირ-და, მარა შესრულება ვერ მოახერხა, ალბათ. იძულებული გავხდი ჯანმრთელობის კო-ნისარისთვის მიმემართა ტელეფონითვე და-ხმარებისათვის. ალბათ მისი გავლენით იყო, რომ რამდენიმე საათის შემდეგ დამირეკეს იქიდან, სადაც ტელეფონი არ იყო უშვებელი და მომთხოვეს ანკეტის შევსება: თუ რა მაქვს მოტენილი, ან რით ვარ მოწამლული და სხვა ასეთები.

ესეც ერთი ხათაბოლა, რაღა! ამქმე-ბის შევსება ჯანსაღს მეწარება ჭირივით და ახლა რა შემაგონებებს, როდესაც სიცხე ორ-მოცამდი აღწევს!

— ყველაფერი დამტვრული მაქვს, აშხა-ნაგო, და არ შემოძლია დაწვრილებით ჩა-მეგოვალათ. მომეშველეთ ჩქარა!

მეგონა, ამის შემდეგ საჩქაროთ გამოცხა-დებოდა ეტლი, მარა მოლოდინი გამი-ცრუვდა, — ის არსად სჩანდა.

სიცხემ, თავის და ყულის ტკივილმა უწო-მით მიმატეს, ამით კიდევ გაუძლებდა კა-ცი, მარა მადი, — არამც თუ ჭამის, არამედ ყველაფრის, — სრულებით დამეკარგა.

ყოველივე ამეებს კიდევ ხელი მუწუწო ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ: მიმდ-ნარე პარტკონფერენციაზე, რომელსაც ვერ ვესწრებოდი პირველათ ავთომობილის გა-მოს, თურმე „დამუშავება“ დამიწყო ერთმა დელეგატმა, რომელიც პირველათ ესწრე-ბოდა პარტკონფერენციას, — წინანდელ კონფერენციების დროს მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მადიქრებული და გადაწვეტილი პარტიის წევრობა. მისი სიტყვით, მე, თუ-რმე, მოვსწყდი მასებს, გავბიუროკრატიდი და აღარა ვარ დირსი კომიტეტის ახალ შემად-გენლობაში არჩევის.

ამას ზედ ერთოდა კიდევ ის მდგომარე-ობა, რომ ჩემს ბინაზე თვალი ეჭირათ სა-ბინაო ამხანაგობის გამგეობის წევრებს, რომ-ლებიც ახლათ იყვნენ არჩეული და ჯერ ვერ მოწუბობილიყვნენ შესაფერ ბინებზე.


ასეთმა შინაურმა და გარემე მოცულობამ მაიძულა გადამეწყვიტა მართლა ჩამოვშო-რებოდი მასებს.

გავაწმორე, დავამტნარე, დავწვივი პირ-აღმა, დავიკრიფე გულზე ხელმედი, დავხუშე თვალები და გავაპოქინე ფეხები.

მორჩა და გათავდა! აღარც საჩქარო დახ-მარების ეტლი მინდა, აღარც ექიმები და მა-თი წამლები, აღარც „დამუშავება“ და არა-ფერი!

მაშ ეს არის ალსასრული, რაღა!
ს. თ.—იან.

ოპერაცია — კოოპერაცია



— ან-და როგორ მოინებოდა, როცა მთელი კოოპერატივი მუცელ-ში ჰქონია!



ს ო ლ ა დ



— უი, ქა! რა ანგელზივით მშვენიერი ცოლი შეგირთავს! ბედნიერი ხარ სწორედ!
— არა! ის ჩემი ცოლი არ არის!
— მადლობა ღმერთს! კინალამ გული გამისკვდა, ვაი თუ ეს მახინჯი ჩვენი ვანოს ცოლია-თქო!

ქუთაისის პროლეტმწერალთა წრეში

კვირკელია: — ასე, ამხანაგებო, ჩვენ აღ-
მანახს უთუოთ გამოცდებთ ამ ერთ თვეში.
ერთ თვეში თუ არა, ორ თვეში, ან სამ
თვეში მაინც. ეხლა ამხანაგებო, რადგან მო-
წესნებელი მოვიდა, ლექსები გვეჭნება,
წავეკითხოთ და გაეარჩიოთ. ქანტურიშვი-
ლო, წაიკითხე შენ შენი ლექსი.
ქანტურია (კითხულობს): — კაცი ანდა-
მატი...
მიწა შემდგარი ცერზე...
კახაძე: — მეიცა, მეიცა, ცერზე რა უნ-
და შიწას, კაცო?!
შავგულძიძე: — მზის ქვერტა მოუნდა აღ-
ბად!
თევანიძე: — პოეტური გამოთქმაა, მე-
ტაფორა.
ურაგანიძე: — მეტაფორა კი არა, ჰიპე-
როლაა.
ქანტურია: — რა ვიცი რაია. მაცალეთ
ცოტა, (ამთავრებს).
კვირკელია: — შემდეგ წაიკითხავს...
ვინ წაიკითხავს კილო?
ყველა: — შენ წაიკითხე, ერთხელაც არ
წავეკითხავს.
კვირკელია: — მე, ამხანაგებო, პროზის
დარგში ვმუშაობ.
ხმები: — პროზა იყოს, წაიკითხე.
კვირკელია: — სამწუხაროთ არ წამომი-
ლია, ურაგანიძე, წაიკითხე.
ურაგანიძე: — არა მაქვს თან.
ხმები: — ვიცი გაქვს, წაიკითხე, წაიკი-
თხე.

ურაგანიძე (კითხულობს).
საუკუნოების ინტერვალში
პოეტები ქებას ასხამდენ
დიდ აღამიანებს...
ჯიბლაძე: — მე, როგორც კრიტიკის და-
რგში მომუშავემ, უნდა განვაცხადო, რომ
ეს ლექსი დაწერილია მემარცხენეების ძლი-
ერი გავლენის ჭეშმ.
ურაგანიძე (აღღვებულა): — მისთვის
არ გკითხულობდი. — ტროცკისტიც კი გა-
მომიყვანა.
ჯიბლაძე: — მე ლიტმემარცხენეობაზე
გელაპარაკებ.
ურაგ: — მემარცხენეობა — მემარცხენე-
ობა. შენ კი კაცმა მარჯვენა ხელით უნდა
ამოგართავს ენა.
კვირ: — კარგი, დაწყნარდი, თევანიძე
წაიკითხე.
თევ: — მე პროზის დარგში დაგიწყე
მუშაობა, პოეტობაში ხეირი არაა; სეზონი
გაუვიდა.
კვირ: — კახაძე, წაიკითხე.
კახ: — ერთი მაქვს, 1924 წ. დაწერილია
ხმები: — ახალი, ახალი წაიკითხე.
კახაძე: — ახალი ლოროტიფანძისაა, მე
არ დამიწერია.
კვირ: — ცხადძე.
კახაძე: — მე პოემა მაქვს.
ხმები: — არ გვინდა, არა. ჯერ შენ წაი-
კითხე და მერე.
კვირ: — ისიანი.
ისიანი (კითხულობს, შემდეგ არჩევს).

კახ: — თემა აქტუალურია, დამუშავება
აკლია.
კვირ: — ნაცვლიშვილო, წაიკითხე.
ნაცვ: — მე, ამხანაგებო, ლექსი არ წა-
მომილია, მარა რაღამც ასეა საქმე, ზეპირ
რათ ვიტყვი (კითხულობს).
— **კვირ:** — შავგულძიძე.
შავგ: (კითხულობს).
„წითელ დაფაზე“
შეკრდი შრომაში ნაქანდაკია
დინამოებით ვნება აშლილი...
(შემოდინ: იამანიძე, ვიასელი, ხობისპი-
რელი, ასათიანი და სხვები).
კვირ: — ამხანაგებო, ჩვენი პირველთ
თაობა მოვიდა, დაუთმეთ სკამები.
იამანიძე: — დასაჯდომათ არა გვცალთავ
ლექსები უნდა წავეკითხოთ თეატრში. კვი-
რკელია, წამოდი.
კვირ: — მოვიდივარ, ჩემს მაგივრათ ამხ
ქანტურიშვილს ვტოკებ (მიდიან).
ქანტ: — არ შემიძლია, მეც მოვალ.
ბახჩია (შეუმჩნევლად შემოდის და ეკითხ
თხება): — თქვენ ხართ პოეტები?
— **პო.** რა იყო, რატომ გიცვირს?
ბახჩია: — ისე, თმით თუ შეგატყობთ
კაცი თორემ...
— **თორემ რა?**
ბახჩია: — თორემ რა და რაც ამ წერილ-
ლით მინდა ვთქვა (ჩაილაპარაკებს და
სწერს ამ წერილს).
ბახჩია.



— ვაიმე, ვაი, ეს რა გიჭნია შვილო, შე არ დასარჩენო? რად აანთე ბუხარი, ასტება წივილ - კივილი მართამ და თავში წაიშინა, როცა წყაროდან დაბრუნდა. მივარდა, ანთებულ შეფუთვებს დაუწყო გამოყრა, ხელებიც დაიწვა, მაგრამ ფულეში მინც ვერ გათარჩინა.

— შემცვიდა ცოტა, და... მერე და ბუხარში რომ არ შეგვენახა, სხვა ადგილი ვერა ნახე? — მიუგო შვილმა, რომელიც შეზარბოშებული იყო გუცას დუქანში.

— მერე და შე ლოთო, რომ ვერსად დავიშალე, ყველგან მიავენი, შეძებრის სუნთქვა გაქვს... ვაიმე, ჩემო ლამაზო ჩერვონციანებო ჩემო დაღუპულო ოცო თუშანო!

— ჰო, და ავრე უნდა, წუწუტოაჩი რომა ხარ. აკი ამბობდი აღარა მაქვსო.

— შავი დღისათვის მკონდა, შე პირვამაგებულო, ავრემც არ გაუთენდება ხვალ

დილა ამ კულაკ კიკოლას შენი გასულელე-ბისათვის, და ქირი შეყრია იმ გუტას, რომ აქამდის არ აბარებს აქედან. ან რას აყოლილხარ, შვილო, კიკოლას! არ იცი ამისთვის გათრობს, გაპატიუბს, რომ თავის დუღუჭზე გათამაშოს? აგერა, არტელიდანაც რომ გამოგყვანა და ისევ თავის ხელში შეიჭურე ვაგხადა. ან რა ხეირს მოგცემს ეს ღვინის სმა. — არც იცი, რომ ყველა ავადმყოფობა, ავკაცობა, სიღარიბე და ღვინის აყოლების ბრალია? ვაიმე, ჩემო ლამაზო ფულეებო! ვაი, ვაი!

— რა დაგემაართა, დედაკაცო, რა გაღრიალებს? — შეეკითხა გაკვირვებული მეზობელი ქიტა, ხმაური რომ გაიგო და შემოუარდა.

— რა და ფულეები დამიწვა ამ არგასაზღვლმა ბუხარში...

— მერე და, რო გეუბნებოდი ხოლმე შემ-

ნახველ სალაროს მიიბარე, წეჭედი ჩაქოვინა მაჯეროდი, იქ ხომ უშიშარ ალაგას გეცნებოდა, სარგებელსაც მიიღებდი თავსაც ახირებდი და მთავრობასაც ხელს გაუმაჩრთავდი ამ სასოფლო - სამეურნეო მანქანების შექმნაში. აი ამაზეა ნათქვამი: კაცი თავის თავს რომ უზამს, იმას მტერი ვერაო! —

— ვაიმე, ესლა მეც ვხვდები, რომ შევცდი, მაგრამ რაღა ვქნა... — საღლა მაჭებს ძასი.

— შენ ისე არ გამოგვლევა ფული, როგორც ჩვენებთან მართას თავში წილი გეჭნება მანდ სადმე ჩადებულში!

— რას ამბობ, სად უნდა მჭონდეს ჩადებული... — შა...

სიტყვა და საქმი

მას შემდეგ, რაც ექიმების საერთო კრებებმა დადგინებები გამოიტანეს კერძო პრაქტიკის მოსპობის შესახებ, როცა აღიარეს, რომ ექიმობა ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მასებისათვის, მეც სულ სხვა თვალთი ვუცქეროდი ექიმებს და ჩემი სინაპტია მათდამი იზრდებოდა, თუმცა გულში კი ვფიქრობდი:

— ნუთუ ჩვენი ექიმები გაიჭრობენ ფულის სიყვარულს და ნამდვილი სალი თვალთი შეხედვენ ხალხის ჯანმრთელობის დაცვას?!

ყველაფერი კარგი ავიხდათ, მე მალე მარჯუნა ბედმა შემემოწმებინა ჩვენი ექიმების სიყვარული მშრომელი მასებისადმი.

სუფთა მორთულ კაბინეტში დინჯათ იჯდა ექიმი ინგოროყვა და გაზეთს ათვალაიერებდა.

— რაზე მოსულხარო? — შეეკითხა ის შესვლისთანავე.

— ბავში მიკვდება, უნდა მიშველოთ რამე! ექიმი წამოდგა და დამიწყო თვალაიერება. თავიდან ფეხებამდე რამდენჯერმე ამხედ-დამხედა-

— ალბათ ვერ გაიგო, ვიფიქრე მე, — იქნებ მე ვგონივარ ავით... „ბატონო ექიმო, მე სრულიად ჯანმრთელი გახლავარ; ბავში მყავს ძალიან ავად და გთხოვთ...

— ბავში გყავთ ავად? ძალიან კარგი! — კარგი რაგა, შენი ჭირიმე, კარგი კია არა, ვიტანჯებით, მიშველეთ რამე, წამყვით.

კიდეც ამხედ-დამხედა. ასწონ-დასწონა ჩემი შემოფლეთილი ძველი ხალათი და ფეხსაცმელები; შემდეგ ჩაჯდა სავარძელში, გაზეთი ხელში აიღო და შემომიბრუნდა.

— საქმეები მაქვს, თორემ წამოვიდოდი! — მითხრა მან და გაზეთის კითხვა განაგრძო.

— კი, მაგრამ ბავში რომ შეწუხებულია? — ძლივს მოვახერხე სიტყვის თქმა.

— მაგ შემთხვევაში მოდით ხვალ, ან ზევ და წამიყვანეთ.

— ხვალ ან ზევ, მაგრამ... — ესლა საქმეები მაქვს, ხომ გაიგეთ?!

— საქმეები! საქმეები! — ჩავილაპარაკე და გარეთ გამოვედი.

— ასე რაგა წამოგყვებოდა, — მითხრა ერთმა გამოცდილმა მეგობარმა, — შეიდ მანეთს თუ არ დაანახვებ და ეტლს არ მიუყვან, ისე ფეხსაც არ დასძრამს.

— კი, მაგრამ ექვია იმ ოჯახქორს! — ალბად შეგატყო, რომ ღარიბი იყავ.

— შართლაც შემატყო, სწორედ იმიტომ მსინჯავდა ასე გულმოდგინეთ!

ინტერვიუ

გუშინ თქვენი თანამშრომელი ესაუბრა საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარეს (ალექსანდრე ჩერგოლეიშვილი) შემდეგ საკითხებზე:

ტარტაროზკორი: — რომელ და რამდენჯერ ყოფილხართ გაწერილი გაზეთებში.

ჩერგოლეიშვილი: — ყველა გაზეთებში. რაც შეეხება, თუ რამდენჯერ, ამის გამოანგარიშება შეუძლია ქუთ. სტატანყოფილებას.

— ალბათ გაზეთებში ცრუ კორესპონდენტებმა დასწერეს, ვითომ თქვენ რევოლვერი ესროლეთ ტუსაღს ბაღდათში?

— თუ ძმა ხარ, რომელი ვაჟკაცი მოითმენდა, რომ ვილაც მასწავლებელი ცოლის დას შეპირდეს ცოლათ წაყვანას და არ წაიყვანოს! ასეთი თავხედობისათვის დატუსაღებულ მასწავლებელს ნაგანის ტყვია ვესროლე.

— რა მოგისაჯათ სასამართლომ ამ საქმისათვის?

— სასამართლომ ფსიქიურ ავადმყოფათ მცნო და მომისაჯა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი ექიმობა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამის შემდეგ გადის ნახევარი წელიწადი და მე საბაზრო კომიტეტის გამგეთ გახლავარ.

— რომელი შემოსავლის წყაროდან აშენებთ თქვენს საკუთარ ჭვის სახლს?

— მაგისთვის არც წყაროა საჭირო და არც ჭა. ავიღე დამწვარ ებრაელების უბანი, მივაყენე ნაცნობი მეურმეები და ვზიდე ჩემს სარდაფში თუნუქი, აგური და სხვა სააღმშენებლო მასალა. დღესაც უღვევლი „ზაპასი“ მიწყვია.

— სოც. შეჯიბრის ხელშეკრულების დადებაზე რათ უთხარით უარი ბრიგადას?

— ჩემს დანიშვნამდე იჭერდენ ძალღებს (რამდენი საცოდავი ძალღი გამოასალმეს ამ წუთიერ სოფელს მაგ მამაძაღლებმა). მე კი გამოვაცხადე ამნისტია და შევწყვიტე ძაღლების დევნა. შტატი დაფვროთხე, მიჩივლეს და ყოველდღე სასამართლოებში დავიარები. მე და ჩემმა ბუჭაალტერმა (ყოფილი პრისტავია) ჯამაგირები მოვიშტეთ.

— საქართველოს მუშალებინმა მოიწერა თქვენი მოხსნა თანამდებობიდან. რამ გამოიწვია ეს?

— მაგისთანა მოწერილობები მე ბევრი შემიჩერებია და, ალბად, კიდეც ბევრს შევიჩარებ.

ხლისტი.



გ რ ღ ი — ნ ა ხ ე !

„ზროშის თემის „შადრევანი“

ს. ზროშის (ქუთ. ოლ.) მასწავლებ. გიორგი სამხარაძემ გლეხებს მოაპრევია ტყე (მუხზარი) ვენახის სასარეთ. მასწავლებელს სხვის შინიშენაზე, რომ ტყის მოჭრა გამოიწვევს წყაროს დაშრობას და გლეხებში უწყლოდ დარჩებიან, სამხარაძემ მუქარით უბახუბა.

რი-მი.



სამხარაძეს მასში, რომ უკანასკნელს მიერ ტყის გაჩეხვით სოფელ ზროშას წყარო დაუშრება და გლეხობა უწყლოდ დარჩება. როგორ დავიჯეროთ, რომ რი-მეს წერილი არ არის ცალმხრივი მსჯელობა? ან ვინ იცის რა საბუთს წარმოვვიდგენს მისი წერილის დასტამბვის შემდეგ თვით ბრალდებულს. სამხარაძე? სამხარაძე, როგორც რი-მეს წერილიდან სჩანს, პედაგოგი კაცია და ის „ტარტაროზში“ გაწერის და ასეთ „საგმირო“ საქმით სახელის მოხვეჭის მიზნით არ ჩაიდენს ჰეროსტრატეს მსგავს ხეკრულ საშინელებას. — არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომ ზროშის გლეხობა უწყლოდ დასტოვოს, და თუ რი-მეს ცნობა მართალი აღმოჩნდება, ჩვენ სამხარაძეს მაინც ვერ გავამტყუნებთ ასე ხელ აღებით, რადგანაც თუ პატიცემული პედაგოგი წყალს (წყაროს) აშრობდა, მაშინ სამხარაძეს ალბად თამაში აქვს ჩამდგარი ფულის საკმაოდ მარაბი, რომელიც წყაროს დაშრობებისთანავე ეიფელის შადრევანით გადმოსჩქვამს ზროშის მიდამოებს და რიონ-ყვრილასთან ერთად ქაფ-ქაფა ტალღებში გადაეფლება თავზე შავი ზღვის აზვირთებულ სტიქიონს.

ჩვენ საჭიროდ არ ვსცანით რი-მეს მონოლოგებულ მასალის ცალკე დარიცხვად დასტამბვა და აი რატომ: რი-მე ბრალს სდებს მასწავლებელს.

„ბ ა ტ კ ა ნ ი“

წყალსადენის სამმართველოს მთავარიზე სიმონ აბულაძე მოხსნილია ანამდებობიდან, როგორც ყოფილი პოქაული და სუსტი მუშაკი.

„მ.“



მაგიდასთან მოწყენილად — ცხვირმოჭეველ-მოკაული, — ზის სიმონა, აბულაძე — ნიკოლოზის ბოქაული. ადგილიდან „გაჩისტეს“ და აუტყენს თავის ფხანა. თვლუმს და ძილში ეჩვენება ნიკოს ტახტი, ნიკოს ხანა.




იცნობდით! გახლავთ ყოფილი — კედის თანამშრომელი, მუშებს და გლეხებს მათრახათ ზურგებს უწევდა რომელი. ახლაც იშვილებს აწყობდა, „ქაფვაში“ ყველას აჯობდა, გულდა-ნაბადი აუკრეს, არ შეარჩინეს კვაქობა.

„მუშა“.

„ფიცი — შტაცი“

ქუთაისის ადგილობრივი მეტრენობის ინჟინერი მამასახლისოვს ზედმეტად მიანიჭა საწარმოო გეგმის განხილვა სამმართველის მიერ.

„უ“, შეჯივრ.“



— რა გეგმა რის გეგმა... საქმე მემოგელიათ?!... ღმერთი, რჯული გეგმა თქვენთვის კი არა, ჩემთვის არა მაქვს დააა!

„კ ა ლ გ უ ლ შ ი“

ჩვენმა ბორჯომელმა კორესპონდენტმა „კორკიტამ“ ხელთ იგდო და გადმოუგზავნა „ტარტაროზის“ რედაქციას „ლია წერილი“, რომელიც ვინმე ელუკი კავილაძეს გაუგზავნია თბილისიდან, წადერში მყოფ ილიკო ცუცქერიძისათვის.

აი შინაარსი:

ბამარჯობა ბიფო, ილიკო!
როგორ ხარ? რატომ არ იწერები წერილს შემ კინტო, გაოხრამაშლო, გაფაფაშულო და გაოხსნიკრეშლო?

მომწერე როგორ ატარებ დროს რომ არ მეშვებოდი, გავჩარხე შენი საქმე: გავიდე ნახვარზე მუტი შენი ობლიგაციები. დანარჩენსაც მალე გავყრი და ფულს ერთად გამოგიგზავნი.

მომიკითხე, სალიკო და „გერმოშკა“ (შე იფო გერმოგენი), შენი ელუკი.

ყველაზე უფრო ობლიგაციების გასაღებაში „გასპეცებულ“ ელუკის მიმართებაში ჩვენ მოგვეწონა შესაფერად და თავის ადგილზე ნახშირი ეპიტეტები: შე კინტო, გაფუჭებულ და გათახსირებულა“.

ყოჩაღ ელუკი!

გცოდნია კაცის შეფასება! — პირდაპირ სულსა და გულში ჩაძრომილ ხარ რაღა!

სენსაციური ამბავი

ოთახის კარები რომ გამოაღო და ქუჩაში გამოვიდა თითქოს იქაურობა მოიწამლა. წარბები შეიკუმუნა. მრისხანე სახე მიიღო; ცოტა ხანს იყო გაჩერებული და თითქოს ღრმად ჩაფიქრებულათ მიწას ჩაჰყურებდა. შემდეგ გრძელ შეჭალარავებულ წვერზე ხელი ჩამოისვა, თითქოს ამოიხეხნე და ნელა გაუდგა გზას. მიდიოდა ნელა, ჩაფიქრებული. სიარულის დროს მის დაღობულ სახეზე ერთხელაც არ გაუთამაშია ღმილის. სულ მუდამ წარბ შეკრული იყო. ერთის შეხედვით ასე ეგონებოდა კაცს რაღაც დიდს საიდუმლო საქვეყნო საქმეს აკეთებდნო. რას აკეთებდა ეს არავინ იცოდა. გაბრიელ ბრახუნაძე მუდამ დღე ერთ და იმავე საათზე გამოიყოდა სახლიდან, ათიდან თერთმეტ საათამდე. ბრუნდებოდა 4 საათზე. ნელა აჰყვა პლენარის პროსპექტს, აიბრა ელბაქიძის აღმართი და ყოფილ ზემელის აფთიაქთან გაჩერდა, პირი მიიბრუნა და გაიხედა თავისუფლად მონაბერმა სიომ შუბლი გაუგრილა, თვალს ესაამოვნა ახლად გაკეთებული ფართე ქუჩის დანახვა. მაგრამ იმდენად მოხანძრულ-მოწამლული იყო, რომ ფრიად კარგი საქმე იყო გაკეთებული და ბევრი სხვა ასეთი საქმეები კეთდებოდა. ამას მიზეზი იყო ის, რომ კომუნისტები ჭირივით ეჯავრებოდა, ვერ მოენელებია, ორგანიზულად, რა იყო ამის მიზეზი თვითონაც არ იცოდა, რომ გეკითხათ პასუხს ვერ მოგცემდათ. ეჯავრებოდა თვალის დასანახავად; მორჩა და გათავდა, გაბრიელი ოდესღაც საქმის კაცი იყო, ეხლა კი სრულიად არაფერს აკეთებდა. მისი ერთადერთი გასართობი იყო რუსთაველის პროსპექტზე გავლა და ჭორების შეკრება. გაბრიელს ჰყავდა თავის პარტია: ყოფილი თავადი, ყოფილი ვაჭარი, ყოფილი მღვდელი და ინტელიგენტი. ყოველ ხის ძირში, ყოველ კუდაინახავდით ჩუმად მოსაუბრეთ. იფხანდენ გულს, იტკობდენ სულს სხვადასხვა ჭორებით. ამათში გაბრიელს დიდა ავტორიტეტი ჰქონდა მოპოებული. მისი ჭორი ნაღდ ადვილზე სადღებოდა. ჭორებს ზოგს თვითონ სთზავდენ და ზოგს სხვისგან განაგონს ასაღებდენ. გაბრიელს თავი მობეზრებული ჰქონდა მათგან, დაინახავდენ თუ არა შემოგხვეოდენ და იცოდა რამე თუ არა მაინც უნდა ეთქვა.

გაბრიელი გაჰყვა რუსთაველის პროსპექტს და ცოტა მანძილი გაიარა, რომ წინ შემოეგება ერთი მისი პარტიისგანი, ხელეები მოხვია და უთხრა.—გაბრიელ სახეზე გატყობ დიდი

რამე ამბავი უნდა იცოდე. მითხარი შენი ჭირიმი.

გაბრიელი თითქოს გაჯავრდა. კოპები შეიკრა.

—კაცო იჯარით ხომ არ ამიღია ახალი ამბები? ერთხელ თქვენცა თქვით რამე, ძალიან საინტერესო ამბავი ვიცი, მაგრამ არ გეტყვიათ.—სთქვა გაბრიელმა და გასწია წინ. ამხანაგი ფეხ და ფეხ მისდევდა. ცოტა ხნის შემდეგ დანარჩენებიც შეუერთდნენ და გაბრიელს გზა შეუტრუს. ემუდარებოდნენ ეთქვა რამე. გაბრაელს ნერვიულობა დაეტყო. სახეზე ცბიერმა ღმილმა გაუთამაშა. რაკი აღარ მოეშვენ, გაჩერდა:—ისეთი სენსაციური ამბავი ვიცი, ასეთი რომ ჯერ გაუგონარი, მაგრამ არ გეტყვით—ღმილით წარმოთქვა გაბრიელმა.

—გვითხარი, გვითხარი შენი ჭირიმი ერთხმად შებლაგლა ჩაგრულმა ხალხმა.

—მოგახსენებთ ნამდვილ ამბავს, ეს სრული ჭეშმარიტებაა. მოვიდა მაგათა აღსასრული, კომუნისტებია სინსილა გაწყდება, აღარ დარჩება არც ბავშვი, არც ქალი, არც მოხუცი არც ახალგაზრდა, ერთი სიტყვით ვინც დღეს ცოცხალია ყველანი დაიხოცებიან და ქვეყანა განთავისუფლდება.

—როდის? — ერთხმად შებლაგულა ხალხმა და იმედით აღსავსე თვალები გაბრიელს მიაპყრეს.

—ორასა წლის შემდეგ!
— ?!!!!
კიკოლა.

მშენებელი საღამოა. გიზღირთქა პანენი მაქს დანიშნული, მაგრამ წვერ-გაუბარსავი სად წავიდე! ნამდვილ ეშმაკს ვგავარ. მივდივარ სადგურის ქუჩაზე. „№ 20 კოოელტივის საპარკმახერო პროლეტარი“

—ნამდვილი საჩემოა!—გავიფიქრე და კარებზე გამოკრული ფასები ავთავალიერე. „გაკრეჭა—15 კაპ. მოპარსვა—10 კაპ.“ სულ ხუთი შაური. მამასადამე ჩემს ათ შაურიდან ხუთი შაური კიდევ დამრჩება, კარგი საქმეა.

შევიდა. გავიპარსე. ხურდის უქონლობის გამო, მივეცი ორი თითო აბაზიანი. ველოდები ხურდის მიღებას.

— მეგობარო, ამას ორი შაური კიდევ უნდა.

— დამციცხლა, მაგრამ რას ვიზამდი, მივიცი უკანასკნელი ორი შაურიც. გამოვიდა სუფთათ.


გამოსვლისთანავე შეყვარებული შემხვდა. ვინაიდან კინოში წასასვლელი ფული არ მქონდა, მე მუცლის ტკივილი მოვიმიწევე და საჩქაროთ სახლისკენ გზას გავუდექი.

მივეგდე ლოგინზე და უტბად ასეთი მუხა მომივიდა.


ჩემო პირის მომპარსველო, შენ დაგვევას დუქანი, გარედ ფასი მქლე ხწერია, შიგ რათა გაქვს მსუქანი?!

სატრფომ კი მოტყუებისათვის სხვა შეიკვარა ვილაც.

ხუნწელი.



მხარნი:—კარგი! რა ამბავია, რომ შემობოლვე? ორთქლმავალი ხომ არა ხარ!
ცოლი:—ში შენ რა კაცი ხარ, პაპიროსს არ ეწევი!



წარსულიდან. „და მათ წაიღეს ხატები უფლისა

...ამოსა ზედა.“

ლეთისა მათისა...

შენდაზე

საზიჯაოს ძარხანა

- თქვენი გვარი?
 - ნინუა.
 - სახელი?
 - მელიტონ...
 - თანამდებობა?
 - კანტორის გამგე.
 - წინად რად მსახურობდი...
 - პრისტავად ვიყავი.
 - „სასახელო საქმეები“ გექნება იადენილი.
 - გიუვირდეს: გლებების როზგვა და შევიწროება.
 - წმინდის არ გეშინიათ?
 - სრულებითაც არა, მფარველები ბევრი მყავს. თუ გაწყრა ღმერთი, უკეთესს ადგილს ვიშოვი.
 - ჰჰმ... კარგი.
- 2
- თქვენი გვარი და სახელი?
 - გოგიბერიძე იოსები.
 - თანამდებობა?
 - ელ-მწყობი...
 - თქვენ გახასიათებენ, როგორც ხელობის არ მცოდნეს...
 - მაგათი ღედაც... მაშ ვინ წასწია წინ წარმოება, თუ არა მე? კი, მართალია, ტელეფონი ვერ გამყავს კანტო-

რიდან საწყობამდე, მაგრამ სამაგიეროთ სინათლე ხომ კარგათ გამყავს კერძო ვაჭრებთან?!

- აღებული ფული სად მიგაქვთ?
 - საღ უნდა წავიღო? ჯიბე არა მაქვს თუ?!
 - ამბობენ, რომ ყოველ წამს თვრები, სამსახურში მთვრალი მოდის და სძინავსო.
 - ერთი მაგათი... რომელ ყოველ წამზე ლაპარაკობენ, დილით რომ დავთვრები, მეტრე საღამომდე მთვრალი ვარ. დამეძინება მა რა მომივა...
 - მობრუნების გადაწვისას რას იტყვი?
 - დამეძინა ერთი ორჯერ და გაღვივა ის ტიალი...
 - კომუჯრედის მდივანს რას ერიხი, რომ კეტი დავირტყამს?
 - ერთი მაგისი... სხვაც ბევრი იყო მდივნები, მარა მე არხენად ვიყავ. ეს შემომიჩნდა და წაიღო ძალი რაღა მინდოდა ამებარგა აქედან...
 - ჰჰმ... კარგი.
- 3
- გვარი, სახელი?
 - სამსონოვი ალექსანდრე.
 - თანამდებობა?
 - მესამართა რაზმის უფროსი.
 - წინედ რად მსახურობდით? ეან...
 - დარბი ხომ არ ყოფილხართ?

- მეონია კი.
- დიახ მოლად უანდარმს მაგონებს თქვენი სახე, თქვენ გახასიათებენ, როგორც პროფესიონალურ ლოთს; სისტემატიურად აწიოკებს ოჯახსო.
- რა ვუყოთ, მიყვარს ღვინო და არაყი... ვერ დავთმობ.
- ჰჰმ... კარგი.

ბრატუნა.

ჯ უ მ ა თ ი

ამ ჩვენ საწყალ გლებკომში ვაქარი ზის ცნობილი, (ალბად ვანმე „დიდ კაცი“ იგი არის ძმობილი). არსენაა დარჩია განთქმულია ოხრობით, ბიჭმა სახლა აივსო მოხერხებულ ნოქრობით. აბა, პასუხს ვინ მოსთხოვს, ან ვინ დასჯისამაზე. რევიზია არა სჩანს, რომ მოასწროს კამაზე. სჭამე გმირო გლებკომი გაატარე დროება, თუ ამ ქეიფს ბოლოში გამსახლი არ მოება. ჭამე, გამგეს გლებკომის ჯერ არ გაუღვიძია. მაგრამ ბოლოს მოგცებენ, არ შეგჩრება ბიძია. კორტი.



სამსახურში და სახლში

გოღოღი

იპაშის (სამბრეღია). ვასრულებთ თქვენს თხოვნას: „აიღე დანიშნული ვარ და ნუ მიპასუხებთ ცუდად ვადორში, თორემ, შესაძლებელია საცოლომ დამტოვოსო“.

ჯაჭვის სიღმელს. ნუთუ მართლაც თქვენი თავის საკუთარი შემოქმედებაა ასეთი მარგალიტი?:

ხშირად ხდებდა ამგვარი ამბავი:

არ ჩამოსულა კაცი კონკიდან,

სწრაფად მივლიან, ხელსა სტაცებენ

გადასახდელად მიშუავთ შტრაფიზა.

ჩვენც დავაჯარიმეთ თქვენი წერილი დაწუნებით.

მაგრამ რადგანაც მან ეს იუკიდრონო, ამიტომ ვადორში გავგზავნეთ.

ალარ არის „ზემელი“, აღიგვა პირისაგან მიწისა, არც ტრამეის ბილეთებია „ზემელამდე“. თუ თქვენ ეს არ გჯერათ, ჩაჯექით ტრამეის ვაგონში და მოინახულეთ „ნაზემელარი“.

გარამბტიშუს (ბორჯომი). წერილის სიგრძეზე სჩანს, რომ ისვენებთ და სხვა საქმე არა გექვთ, მაგრამ თუ თქვენ ისვენებთ, ჩვენ რა დაგიშავეთ, რომ გვაიძულებთ ამოდენა წერილი თავიდან ბოლომდე გადავიკითხოთ, რომ შიგ ერთი სახუმარო ადგილი მაინც ვნახოთ.

დ. შორაპნელს. ნუ ელოდებით, არ დაიბეჭდება.

პოსტმელს (ქუთაისი). ჩვენი ლოზუნგია შოთას სიტყვები:

„გრძელი სიტყვა მოკლეთ იტქმის
შაირია ამით კარგი“.

რვა ფურცელზე გაგიკიმავეს
ეს მასალა არა-ვარგი.

მაგრამ ამოდენა ნაშრომი რომ არ დაგეკარგოთ, უკანვე გიბრუნებთ თქვენს ისტორია-პოემას... უკაცრავად, ხელმოწერა გაურკვეველია და ამიტომ ველარ გიგზავნით.

შალვა შამფრინის (თუ შამფურინის?). შე კაი კაცო, ასეთი ცუდი ლექსის დაწერა თუ არ შეგეცხება, რად შეგეცხება მასზე ნამდვილი გვარისა და ჩილის მოწერა? ტარტაროზი ავტორების ვინაობას არ ააჟარავებს.

ახალგაზრდას (ვიათურა). ხელმოწერილი წერილი არ დაიბეჭდება. საქირთა ავტორის სრული ვინაობა. ხელმოწერა უნდა იყოს ყოველ წერილის ბოლოში.

მის. ძმბრადმს. ასეთი გრძელი მასალა ჟურნალისათვის გამოუსადეგარია.

დუბეშს (მაზინჯაური). სასაილოში ცუდი კერძი გიქამიით და:

მუცლის განკურნებისათვის

ვერ ვპოულობ ვერსად ყავებს,

მხოლოდ მაშინ ვიკურნებო,

როცა ვნახავ სისუფთავებს.

აი, ამ შემთხვევის შემდეგ თქვენ გაგიზრახავთ პოეტობა დაეწყეთ. საქირველი ძალიან ცუდია.

მსურს ტარკორად რომ შევიქნე,

და მიცნობდეს ყველა ერი.

გავარჩიო შავისაგან

მოკაშკაშე თეთრი ფერი.

რა ამდენი ხლადორთი უნდა შავისაგან თეთრის გარჩევას? შაქარი თეთრია, პური კი შავი.

გიჭუნას (სოხუმი). სატარტაროზო მასალა უნდა იყოს ძალიან მოკლე და იუმორისტული. (ეს ხომ მთელი ნომრის მასალაა!).

კალმოსანს (აქვე). ჩოდრიშვილის ქუჩაზე მდებარე № 1 სახლის შეახებ გვწერთ და უსაყვედურებთ № 51 ქაქტს:

ინგრევა სახლი, ინგრევა ეზო,

მაგრამ მშველელი არავინ არ ჰყავს.

ეზო სავსეა ნავით და ჩიჩქით

ხშირად შეხვდებით ძაღლის თავს და ტყავს.

რაკი ძაღლის თავი დაუმარხავი ყოფილა, როგორ არ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ თუ „სად მარხია ძაღლის თავი“? მიწზენი ქაქტის აგენტის თქვენს ეზოში მოუსვლელობისა, ალბად ის უნდა იყოს, რომ ეზო და სახლი აყროლებულია“.

ტოლიანს. თემა შაბლონიურია. სინჯეთ აქტუალურ საკითხზე. დასწერეთ ძალიან გარკვევით.



სოც.-დემოკრატნი: — მუშებს არ იცავთო! ეს ცილისწამებაა... განა ეს დაცვა არ არის?!